

სს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული, 2T᠋10Y-0481 და 2T᠋10Y-0482 თბომავლების რეალიზების მიზნით

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:

- ქონების მისამართი- საქართველო; ქ.ხაშური. თევდორე მღვდლის №1
- სარეალიზაციო თბომავლების რაოდენობა - 2 ერთეული
- ქონების საწყისი ღირებულება 1 611 660 ლარი (დღგს-ჩათვლით)
- „ზიჯი“ – 26 861 ლარი;
- „ბე“- 161 166 ლარი;

2. აუქციონის ტექნიკური პირობები:

- სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული, არამუშა ფარების 2 ლოკომოტივი (თბომავალი) 2T᠋10Y-0481 გამოშვების წელი 1992 და 2T᠋10Y-0482 გამოშვების წელი 1992. (დანართი 1: ტექნიკური მდგომარეობის აქტი);
- შეძენილი ქონება „მყიდველს“ გადაეცემა მისამართზე: საქართველო ქ.ხაშური თევდორე მღვდლის №1-ში, შესაბამისი მიღება-გადაცემის აქტ(ებ)ის შედგენით.
- შეძენილი ქონება „მყიდველს“ გადაეცემა ლოკომოტივების არსებული მდგომარეობით.
- დასაშვებია პრეტენდენტების მიერ შესაძენი ქონების არსებული მდგომარეობის ადგილზე დათვალიერება.
- „მყიდველი“ ვალდებულია ლოკომოტივების გადაცემის შესახებ „გამყიდველის“ შეტყობინების მიღებიდან, 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გამოცხადდეს შეტყობინებაში მითითებულ ადგილზე და ჩაიბაროს შეძენილი ქონება, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 60 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ტერიტორიის გათავისუფლება, ხოლო აღნიშნულ ვალდებულების მითითებულ ვადაში (60 კალენდარული დღე) შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ დაეკისრება დამატებითი საფასურის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 75 ლარის ოდენობით, ერთ ლოკომოტივზე.
- შეტყობინების გაგზავნა მყიდველისათვის განხორციელდება კონტრაქტის გაფორმების და თანხის სრულად გადახდის შემდეგ.
- „მყიდველისათვის“ შეტყობინებისა და სხვა ოფიციალური კორესპონდენციის გაგზავნა ხორციელდება ელექტრონული ფოსტით და ჩაბარებულად ითვლება „მეილის“ გაგზავნის დღიდან.
- გამყიდველის მიერ გადაცემული შეტყობინების შემდგომ მყიდველის 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ყველა მომდევნო გადაცილებული დღე გამოაკლდება ლოკომოტივების გაყვანისათვის მიცემულ 60 კალენდარულ დღეს.
- მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომ, ლოკომოტივების გატანა/ტრანსპორტირების უზრუნველყოფა განხორციელდება „მყიდველის“ მიერ, მისივე ხარჯებით.
- არსებული მდგომარეობით, ლოკომოტივების გადაგზავნა „ცივ მდგომარეობაში“ შეუძლებელია (ლოკომოტივებისა და ძრავვაგონიანი მოძრავი შემადგენლობის გადაგზავნის ინსტრუქციის შესაბამისად).
- ლოკომოტივების, გადაგზავნას „ცივ მდგომარეობაში“ და მათი ტრანსპორტირებისათვის მომზადებას (ლოკომოტივებისა და ძრავვაგონიანი მოძრავი შემადგენლობის გადაგზავნის ინსტრუქციის შესაბამისად) უზრუნველყოფს მყიდველი თავის ხარჯებით.
- „მყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „გამყიდველი“, ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს თავისივე სარემონტო საწარმოებში ლოკომოტივების „ცივ მდგომარეობაში“ ტრანსპორტირებისათვის მომზადებას, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა,

დამტკიცებული აუდიტის მიერ, წარედგინება მყიდველს ანაზღაურების მიზნით. ლოკომოტივების სარემონტო საწარმოში ყოფნის პერიოდი არ ჩაითვლება 60 დღიან ვადაში.

- შეძენილი ლოკომოტივების „ცივ მდგომარეობაში“ გადასაგზავნად საჭირო ტექნიკურ აქტს ტუ-25-ს გასცემს საქართველოს რკინიგზა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მყიდველის ხარჯებით.

- ლოკომოტივების რეალიზაცია განხორციელდება ვებ-გვერდზე www.eauction.ge.
- ინტერნეტ-აუქციონში გამარჯვებულთან ფორმდება ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, იმ პირობების გათვალისწინებით რომლის შინაარსიც გამოქვეყნებულია ლოტის საინფორმაციო ველში (ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა თან ერთვის).
- ინტერნეტ აუქციონის მიმდინარეობის ვადა: ინტერნეტ აუქციონის დაწყებიდან 20 კალენდარული დღე;

განსაკუთრებული პირობები:

- ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდება აშშ დოლარში, აუქციონის ჩატარების დღისთვის არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლარი/აშშ დოლარი) დადგენილი, გაცვლითი კურსის შესაბამისად.
- ნასყიდობის ფასი „გამყიდველს“ აუნაზღაურდება საავანსო ანგარიშსწორების წესით.
- ნასყიდობის ხელშეკრულების (თანდართული პროექტის არსებითი პირობების გათვალისწინებით) გაფორმების ვადა: აუქციონის დასრულებიდან - 10 კალენდარული დღის ვადაში;
- ხელშეკრულების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმების ხარჯებს ფარავს აუქციონში გამარჯვებული.
- შეძენილი ქონების საფასურის (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით, („ბე“ - აუქციონის ჩატარების დღისთვის არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლარი/აშშ დოლარი) დადგენილი, გაცვლითი კურსის შესაბამისად, დაფიქსირებული აშშ დოლარში) გადახდის ვადა: ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღე;
- შეძენილი ქონების დარჩენილი ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) უნდა ჩაირიცხოს სს „საქართველოს რკინიგზის“ შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე:
- სს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები:
- ეროვნულ ვალუტაში - ს/ს „თი ბი სი“ ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი 220101850; საიდენთიფიკაციო კოდი №202886010 ანგარიშის ნომერი ა/ა №59136020100001, ეროვნულ ვალუტაში.
- აშშ დოლარში: Intermediary Bank: CITIBANK N.A. NEW-YORK, USA, SWIFT: CITIUS33, ABA: 021000089
- Beneficiarys bank : HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22;
- JSC”TBC BANK ” , Marjanishvili Branch; SWIFT: TBCBGE22850
- Name of beneficiary: JSC”GEORGIAN RAILWAY”
- Bens account: GE11TB1100000112070112.
- სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს „საქართველოს რკინიგზაში“
- მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15.
- სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე -(+995) 591 19 03 03 Alexsi.Koreli@railway.ge
- ფინანსურ საკითხებზე: - (+ 995) 577 62 11 75. Tamuna.Tabatadze@railway.ge
- იურიდიულ საკითხებზე - (+995) 591 19 91 90. Nino.Abelishvili@railway.ge
- ლოკომოტივების ტექნიკურ მდგომარეობაზე - (+995) 577 09 88 11. Gia.Labadze@railway.ge

- აუქციონის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე (+995) 32 2 601 601